№ 132 — მთავრობის ორგანო — უოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, ივნისის 16 1920 წ.

მთავრობის ორგანო, უოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ზე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება. ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## ქართულ სააქციო საზოგადოების „ოქროს-ვერძის" გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით 1920 წ. ივნისის 11-ს, № 1667, კვირას 1920 წლ. ივნ. 20-ს, დილის 11 საათზე, ქ. ფოთში, საზოგადოების განყოფილების ბინაზე (ლიალინსკის და მიხეილის ქ. კუთხე) დანიშნულია

## საზოგადოების აქციონერთა საგანგებო საზოგადო კრება

შემდეგი საკითხების განსახილველათ:

1. წარსულ საოპერაციო წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. დივიდენდის განაწილება.
3. საზოგადოების საქმის წარმოების დაყენება.

ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ კრებაზე დასწრებისა და ხმის უფლება ექნებათ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც წარმოადგენენ თავის აქციებს გამგეობაში ქ. ტფილისში, ან მის განყოფილებაში ქ. ფოთში ამა წლის ივნისის 18-მდე და კრების გათავებამდე უკან არ წაიღებენ. აქციების მაგიერ შეიძლება წარმოდგენილი იქნეს კვიტანციები ბანკების, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა (ქალაქის და ერობის გამგეობისა) ამ კვიტანციებში ნაჩვენები უნდა იყოს აქციების რაოდენობა, ნომრები და ღირებულება.

1453 3—2

## გზათა დეპარტამენტის კანცელარია

**ამით აცხადებს, რომ 20 ამა ივნისს, დილის 12 საათზე**

პლეხანოვის ქ. № 50 (ყოფ. საავტომობილო განყ. შენობაში) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გზათა სამინისტროს ყოფილი საავტომობილო განყოფილების ნივთების გასაყიდათ. ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ცნობები ამ საგანზე გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში.

646 3—1

## კ ო ნ კ უ რ ს ი

**მილიციის უფროსის სამმართველოში არის ერთი თავისუფალი ადგილი ქართულ მანქანაზე გადამწერისა**

ჯამაგირი თვეში 2866 მან. 76 კაპ. სავალდებულოა ქართული ენის კარგათ ცოდნა, ვისაც სურს კონკურსში მონაწილეობის მიღება, იმან უნდა თხოვნა შეიტანოს მილიციის საქმეთა მმართველთან ველიამინოვის ქუჩა № 7, 18 ივანობისთვემდე.

1486 2-1

**ყველა იმ პირთ, რომლებთაც წარმოდგენილი აქვთ თხოვნები**

## სოციალურ დახმარებისათვის

უსათუოდ უნდა წარმოადგინონ მოწმობა სიღარიბისა და ნამსახურობის შესახებ.

645 3—2

## ოფიციალური განყოფილება

## განკარგულებანი

**მთავრობის საქმეთა მმართველისა.**

12 ივნისი, 1920 წ. № 17.

1. მთავრობის საქმეთა მმართველობის რეგისტრატორი ვასილ გიორგის ძე საბიაშვილი დათხოვნილ იქმნას თანამდებობიდან სამსახურის ნებადაურთველად დატოვებისათვის ამა წლის 1 ივნისიდან.

2. ამავე მმართველობის არქივარიუს სავლე პავლეს ძე დევდარიანს დროებით ევალება ეგზეკუტორის თანამდებობის ასრულება ამა წლის 10 ივნისიდან.

3. ამავე მმართველობის საქმის მწარმოებლის თანაშემწეს ერასტი მურზაყანის ძე მაჭავარიანს დროებით ევალება ხაზინადარის თანამდებობის ასრულება ამა წლის 10 ივნისიდან.

მთავრობის საქმეთა მმართველი

**ქ. ჯაფარიძე.**

—

**მიწათ-მოქმედების მინისტრისა.**

გორის მაზრაში სარევიზიოთ გაგზავნილი განსაკუთრებული კომისიის რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ავლევის სააგრარო კომისიის მდივანი ჯავახიშვილი და ამავე კომისიის მიწის მზომელი კოჩმარჟევსკი იჩენენ სრულ უმოქმედობას და დაუდევრობას მათზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულების საქმეში. ამავე დროს მიწის მზომელი კოჩმარჟევსკი სასყიდელს იღებდა კერძო პირებიდან და სამუშაო დროს განმავლობაში მათ კერძო დავალებებსა და საქმეებს ასრულებდა.

მიმაჩნია რა აღნიშნული ჯავახიშვილისა და კოჩმარჟევსკის ასეთი საქციელი დაუშვებლათ და ღალატათ რესპუბლიკის წინაშე ვბრძანებ:

ავლევის სააგრარო კომისიის მდივანი ჯავახიშვილი გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან უმოქმედოთ გატარებულ დროს განმავლობაში დაეკავოს ხვედრი ჯამაგირი.

მიწის მზომელი კოჩმარჟევსკი დაპატიმრებულ იქნეს ერთი კვირით და შემდეგ სრულიად დათხოვნილი სამსახურიდინ, აგრეთვე გაცდენილი დროის ჯამაგირის დაჭერით.

ვავალებ აგრარულ რეფორმათა განყოფილების გამგეს პირი ჩემგან გაცემული ბრძანებისა აცნობოს აგრარულ კომისიებში მომუშავე პერსონალს და განმეორებით გაფრთხილება მიეცეთ მათ, რომ უმოქმედობისა და ბოროტ-მოქმედებისათვის სამსახურის მოვალეობის დროს დამნაშავენი ჩემ მიერ სასტიკათ იქნებიან დასჯილნი.

მიწათ-მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

—

**გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.**

23 მაისი, 1920 წ., № 58.

**სახაზინო და კახეთის რკინის გზების სამართველოებისადმი.**

ამ რამოდენიმე დღის წინად სადგურ სამტრედიის უფროსმა ბ. შათირიშვილმა ჩაიდინა საქციელი ყოვლად დამამცირებელი რესპუბლიკის მოქალაქისათვისა და მეტადრე რკინის გზის მოსამსახურისათვის საქციელი მდგომარეობდა უზრდელ და უტაქტო მოპყრობაში რესპუბლიკის მთავრობის წევრთან და უდიერ დეპეშის გამოგზავნაში.

ბ. შათირიშვილს არ უნდა დავიწყებოდა, რომ რკინის გზების ინსტრუქციების ასრულებასთან ერთად მან, როგორც სადგურის უფროსმა უნდა გამოიჩინოს საზოგადოდ შესაფერისი ზრდილობა. მას არ უნდა დავიწყებოდა რომ ისეთ შემთხვევაშიდაც, როდესაც რომელიმე მთავრობის წევრი ან რესპუბლიკის უმაღლესი პირი მოითხოვს ისეთს რამეს, რაც არღვევს რკინის გზების ინსტრუქციებს, მას შეუძლია მხოლოდ ზრდილობიან ფორმით მოახსენოს საქმის ვითარება და მოთხოვნილების ასრულების შეუძლებლობა, რასაც რასაკვირველია ანგარიშს გაუწევენ. მაგრამ ბ. შათირიშვილმა ეს სრულიად დაივიწყა, მოიქცა უდიერად და ხალხის ნდობით აღჭურვილ მთავრობის წევრს გაუბედა ის, რასაც წინად ვერ გაუბედავდა უბრალო მოხელეს.

ასეთ ადამიანს და ასეთ შეუგნებელ მოსამსახურეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს რკინის გზებზედ. ასეთი საქციელი უდრის არსებითად მთავრობის წინააღმდეგ პროვოკაციის გაწევას და თუ რომელიმე რკინის გზის მოსამსახურეს ასე ესმის დემოკრატიული მოპყრობა საჭიროდ ვსთვლი გავაფრთხილო, რომ ის იგრძნობს დემოკრატიულ მთავრობის მტკიცე ხელს და ნებისყოფას.

იღებს რა მხედველობაში ბ. შათირიშვილის წინანდელ სამსახურს და მის გამოცდილებას, როგორც ტეხნიკური აგენტისას, გზათა დეპარტამენტი შესაძლოთ სცნობს არ იხმაროს უმაღლესი სასჯელი და წინადადებას აძლევს სახაზინო რკინის გზების უფროსს სამტრედიის სადგურის უფროსი შათირიშვილი ზემოაღნიშნულ საქციელისათვის ჩამოქვეითებული იქნეს ახალი განკარგულებამდი სადგურის უფროსის თანაშემწეთ სხვა უფრო დაბალ სადგურზედ.

რკინის გზის ყველა მოსამსახურეთ მოეთხოვება არა მარტო სასტიკი ასრულება ტეხნიკურ ინსტრუქციებისა და ამ ინსტრუქციების დაცვა, ვინც არ უნდა მოითხოვდეს ამ ინსტრუქციების დარღვევას, არამედ ზრდილობიანი მოპყრობა ყველა მგზავრებთან და სათანადო ყურადღება და პატივისცემა იმ პირთა მიმართ, ვისაც მთელმა ჩვენმა ხალხმა ჩააბარა საგამგებლოდ თავისი ბედი-იღბალი.

ეს ბრძანება გამოეცხადოს სახელმძღვანელოდ რკინის გზების ყველა აგენტებს, რათა შემდეგში ადგილი არ ექნეს, მსგავს სამარცხვინო შემთხვევას რესპუბლიკის რკინის გზებზედ.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი

**ბ. ჰიჰინაძე.**

—

**ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა**

10 მაისი, 1920 წ., № 26.

**გამწესებულნი არიან:** ყოფილი მოხელე დიმიტრი ერქომაიშვილი აკეთის განყოფილების უფროსად, მოქალაქე დავით წიგნაძე ზედამხედველად დაბალი ჯამაგირით ტფილისის საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელზე; ყოფილი მოხელეები: პორფილე მიქაძე, ალექსანდრა ბათმანაშვილისა და მოქალაქე მარიამ ღლონტი ფ.-ტ. მოხელეებათ: მიქაძე მე-6 ხარ.—ლაგოდეხში, ბათმანაშვილისა მე-5 ხარ. —ტფილისის ტელეგრაფში, ღლონტი მე-6 ხარ- ტფილისის სამოქალაქო ტელეფონის ქსელზე; ყოფილი ფოსტალიონები: პროკოფი ნანავა და სიმონ ჩხუტიევი ფოსტალიონებათ მეორე კატეგორიისა: ნანავა—მანგლისში და ჩხუტიევი თიონეთში; ჩხუტიევი 11 მაისიდან, წიგნაძე 12 მაისიდან, მიქაძე 14 მაისიდან, ნანავა 16 მაისიდან, ბაიმანაშვილი და ღლონტი 1 მაისიდან, ერქომაშვილი პირველ ივნისიდან 1920 წლისა.

**დანიშნულნი არიან:** ზედამხედველი დაბალი ჯამაგირისა აბაშის კანტორისა კიმოთე ცომაია—ფ.-ტ. მოხელეთ მეხუთე ხარისხისა სოხუმის კანტორაში, აკეთის განყოფილების უფროსი სამუელ კოპალიანი და ფოსტალიონი ტფილისის ფოსტის კანტორისა სტეფანე ლაზუტკინი ფ.-ტ. მოხელეებათ: კოპალიანი მეხუთე ხარ. და ლაზუტკინი მეოთხე ხარ. ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში; მანგლისის ფოსტალიონი აბრამ იანაკოვი და ფ.-ტ. მოხელეები: ფოთის მეხუთე ხარ. სიმონ შავგულიძე, ბორჯომის მეექვსე ხარ. ნესტორ პანჯაკოვი, ქუთაისის მეექვსე ხარისხის გრიგოლ დევდარიანი, გორის მეოთხე ხარისხების ნიკოლოზ გრიგოლაშვილი და ვასილ კონსტანტინოვი, ქუთაისის სამოქალაქო განყოფილების მეექვსე ხარ. ალექსანდრე ბარაბაძე ფ.-ტ. მოხელეებათ იმავე დაწესებულებებში: გრიგოლაშვილი და კონსტანტინოვი მეორე ხარისხებით; შავგულიძე და პანჯაკოვი მესამე ხარისხებით; ბარაბაძე—მეოთხეთი, დევდარიანი მეხუთეთი და იანაკოვი მეექვსე ხარისხით; კოპალიანი 1 ივნისიდან, იანაკოვი 16 მაისიდან და დანარჩენნი 11 მაისიდან 1920 წლისა.

**გადაყვანილნი არიან:** ტფილისის ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველები: ალექსანდრე გაევსკი და ბიქტორ ალექსანდრია, და ფოსტალიონები: სიღნაღის—ესტატე კუხალაშვილი, ხაშურის—აკაკი ჩეჩელაშვილი და სურამის—ნიკოლოზ ლაცაბიძე იმავე წოდებებით: გაევსკი — ტფილისის ტელეფონის ქსელზე, ალექსანდრია წესში, კუხალეიშვილი—თელავში, ჩეჩელაშვილი—სურამში და ლაცაბიძე ხაშურში ყველა 11 მაისიდან 1920 წლისა, ხოლო ლაცაბიძე და ჩეჩელაშვილი თანახმად თხოვნისა.

**დათხოვნილნი** არიან სამსახურიდან: თანახმად თხოვნებისა: ტფილისის მეოთხე ხარ. მოხელე გიორგი ჩუხრუკიძე და ლაგოდეხის მეექვსე ხარ. მოხელე ქალი როზალია ხითაროვისა; ჩუხრუკიძე 1 მაისიდან და ხითაროვისა 11 მაისიდან 1920 წლისა.

**ამორიცხულია** მოსამსახურეთა სიიდან: მესამე ხარისხის მოხელე ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა სუსანა კიუნეძელი ოთხი თვის კანონიერ ვადაში სამსახურში გამოუცხადებლობის გამო 1920 წლის 10 აპრილიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

—

**საბაჟოს ნაწილის უფროსისა.**

23 აპრილი, 1920 წ., № 18.

**ინიშნებიან** ქუთაისის საბაჟოში: ფოთის საბაჟოს მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი იუნ. დადიანი ბუხჰალტრის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, ფოთის საბაჟოს მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ვ. კიზირია საწყობის ზედამხედვლის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად ფოთის საბაჟოს ბუხჰალტრის უმცროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ა. თევდორაძე საწყობის ზედამხედვლის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

ზემო აღნიშნულნი პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობაზე 16 აპრილიდან ამა წლისა.

23 აპრილი 1920 წ. № 19.

**ინიშნებიან:** ფოთის საბაჟოში: ამავე საბაჟოს ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ვ. ჭავჭანიძე მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, ტფილისის საბაჟოს ბუხჰალტრის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ა. ბაგრატაშვილი ამავე თანამდებობის აღმასრულებლად.

№ 16.

**ინიშნება:** ქუთაისის საბაჟოში ტფილისის საბაჟოს უმცროსი კონტროლიორი კ. ქაჯაია გამგის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის 16 აპრილიდან.

№ 17.

**ინიშნებიან:** ქუთაისის საბაჟოში: ნატანების საბაჟოს კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებელი ნ. გ. ავიაშვილი კონტროლიორად, სალოღლის საბაჟოს კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებელი ვ. მარჯანიშვილი ამავე თანამდებობის აღმასრულებლად; მოქალაქე ი. ი. ლეჟავა საწყობის ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებლად; მოქალაქე ალექსანდრე გიორგის ძე ცირეკიძე ბუხჰალტრის იგივე მდივნის თანამდებობის აღმასრულებლად.

ზემოაღნიშნული პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობებზე ა. წ. 16 აპრილიდან.

საბაჟო ნაწილის უფროსი **ბ. მიქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არა ოფიციალური განყოფილება

# შინაგან საქ. სამინისტროში

### კოჯორის ქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობა.

კოჯორის ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა მას იძულებითი ჩამორთმევის წესით 11 ივნისის 1919 წლის კანონის ძალით გადაეცეს მის სრულ გამგებლობაში შემდეგ პირთა მამულები: მამედოვ მამედ ნური ოღლი, კაიმოვ გიუ-სიმი ისა კიზის, ისრაფილოვი საპო ისა კიზის, კასიმოვ მუსა ჰაჯი გუსტავა ოღლის, მამედოვ იდრის ჰაჯი სალატ ოღლი და ისრაფილოვ მამედ ჰაჯი ბაკირ ოღლისა. შინაგან საქმეთა მინისტრი ამის შესახებ დადებითი მოხსენებას წარუდგენს მთავრობას.

### ბორჯომის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა.

ბორჯომის ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მას სესხის სახით მიეცეს ორი მილიონი მანეთი სამი წლის ვადით. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარადგინა მოხსენება მთავრობის წინაშე, რომ ბორჯომის ქალაქის გამგეობის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქმნას. იგივე ქალაქის გამგეობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე აღძრა შუამდგომლობა სამილიციო განყოფილებაში გახსნილ მისამართ მაგიდის ხარჯების დასაფარავად მისცემოდა დახმარება ქალაქ ბორჯომს 44.100 მანეთი, მაგრამ ეს უკანასკნელი შუამდგომლობა სამინისტრომ არ დააკმაყოფილა.

### ხორბლის შეძენა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ რესპუბლიკის ქალაქების და ერობების წარმომადგენელთ აფხაზეთში უკრძალავენ სიმინდის შეძენას და იქიდან გადმოტანას. მთავრობის განკარგულებით სიმინდის შეძენა და გატანა რესპუბლიკის საზღვრებში ნებადართულია, ამიტომ ის პირნი, რომელნიც წინაღუდგებიან მთავრობის განკარგულებას პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

# მიწათ-მოქმ. სამინისტროში

### სანატორიუმის საქმე.

ტფილისში დაბრუნდა ის კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ბორჯომში, აბასთუმანში და ცემში სანატორიუმის მოწყობა. კომისიამ მხოლოდ ცემი ინახულა. ბორჯომში კომისია დეტალურად გაეცნო ბორჯომის სასახლეებს, ამასთანავე აღნიშნა, რომ დიდი სასახლე ყველაზე უფრო ხელსაყრელია სანატორიუმის მოსაწყობათო.

გადაწყვეტილია უახლოეს დროში შეუდგენ მუშაობას და მოაწყონ სანატორიუმი კუჭით, ნაწლევებით და ღვიძლით ავათმყოფთათვის და სხვ. სანატორიუმში 40 ავადმყოფი მოთავსდება.

სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი და ტფილისის სახელმწიფო სარდაფის გამგე ა. ეგოროვი თანამდებობიდან განთავისუფლებულია. სარდაფის გამგედ დანიშნულია ქართლის მამულის გამგე მეგრელიშვილი, რომლის მაგივრადაც იქ ახალაძე არის დანიშნული.

### სახელმწიფო მამულებში.

სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორი ლომოური, რომელიც გაგზავნილი იყო კახეთის სახელმწიფო მამულების დასათვალიერებლად და გამოსაკვლევად ტფილისში დაბრუნდა. ლომოურმა სასოფლო მეურნეობის მეორე ინსპექტორ ა. ეგოროვთან ერთად დაათვალიერა ნაფარეულის, კარდანახის, მუკუზანის, წინანდალის და მანავის მამულები. აღნიშნულია, რომ სეტყვისაგან დაზარალდა ნაფარეული. გაზაფხულზედ ნათესი ცოტათი დაზარალებულა. შემოდგომის ნათესზე ხელ-ახლა სიმინდს სთესენ. წინანდალში მამულის მხოლოდ ქვედა ნაწილი დაზარალდა სეტყვისაგან. მუკუზანში და მანავში სრულიად არ ყოფილა სეტყვა.

### ტყის მოწესრიგება.

მიწათ-მოქმედების სატყეო განყოფილებ ენერგიულ ზომებს იღებს სამეურნეო გეგმის შესადგენად რათა შემოღებულ იქნას მიზანშეწონილი მეურნეობა ტყის საქმის მოგვარებაში. სამინისტროს მიერ ტფილისის, რაჭის და შორაპნის მაზრებში დაგზავნილია სპეციალური ტყის საქმის მომწესრიგებელთა პარტიები.

### სასოფლო-მეურნეობის გამოკვლევა.

აგრონომიის პროფესორმა ი. იაკუშკინმა მიწათ-მოქმედების მინისტრს რესპუბლიკის სასოფლო მეურნეობის გამოკვლევის სქემა წარუდგინა. პროფესორი იაკუშკინი წინადადებას იძლევა მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ დაწყებულ მესაქონლეობის გამოკვლევასთან ერთად მან მეყანეობის მეურნეობის გამოკვლევაც მოახდინოს. პროფ. იაკუშკინი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ასეთი გამოკვლევის შემდეგ შეიძლება მცხოვრებთათვის აგრონომიულ დახმარების რაოდენობის დასაბუთება. პროექტის ავტორის აზრით სასოფლო მეურნეობის გამოკვლევა ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთა დახმარებით შეიძლება.

### შეშის დამზადება.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს განზრახული აქვს დიდძალი შეშა დაამზადოს. შეშის და შპალების დამზადება ყარაიაზის სახელმწიფო ტყეებში დავალებული აქვთ გვარდიის მთავარ შტაბს სახელმწიფო რკინის გზათა სამრეწველოს, ერობათა და ქალაქთა კავშირს და ტფილისის ქალაქის თვითმართველობას.

# გენერალური შტაბის

### სამხედრო ცნობა.

ცხინვალის მიმართულებით 14 ივნ. განმავლობაში ჩვენი ჯარი მტერს სდევნიდა. ჩვენ გავსწმინდეთ ჯავის ხეობა და ჯარი როყის ულელტეხილისაკენ წინ მიიწევს, დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარეა.

ტფილისი, 15 ივნისი. სოხუმის ოლქში შეიარაღებულ დაცემისათვის შეპყრობილნი ყაჩაღები სოლომონ ალექსანდრია და ამბაკო კვარაცხელია მიცემულნი იქმნენ სამხედრო საგანგებო სასამართლოში, რომელმაც მიუსაჯა მათ სიკვდილით დასჯა. სასამართლოს გადაწყვეტილება სისრულეში იქმნა მოყვანილი.

### სახალხო გვარდიის შტაბის ცნობა

ჯავიდან სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს დეპეშით შემდეგს ატყობინებს გენ. კონიაშვილი. დღეს ჩვენ დავიკავეთ ხვცე ჩხივის ხაზი ჩვენი წინსვლა იყო ნელი, რადგან ვესროდით თხემებს და სიმაღლეებს, რომლებიც ბანდას ეჭირა.

პოლკოვნიკი ინწკირველი სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ივნისის 14 დეპეშით ატყობინებდა: დღეს ჩასავალის სოფლის საზოგადოებიდან მივიღეთ ცნობები, რომ ოსებში პანიკაა. 12 ივნ. ჩემთან შეტაკების დროს ოსები ძლიერ დაზარალდენ. მაყურებელნი გადმოქვცემენ, რომ ოსებს მიყავთ დაჭრილნი და დახოცილნი ცხენებითა და ურმებით. წარსულ ღამით ოსებმა ტყვიისმფრქვევლებითა და თოფებით სროლა აგვიტეხეს. ისროდენ ყუმბარებს. სროლას ზარალი არ მოუყენებია, რადგან როგორც სჩანს ოსები დიდათ მღელვარებდენ.

ცხინვალის მიმართულებით 14 ივნ. განმავლობაში ჩვენი ჯარი მტერს სდევნიდა ჩვენ გავსწმინდეთ ჯავის ხეობა და ჯარი როყის ულელტეხილისაკენ წინ მიიწევს. დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარეა.

# გაზ. „კომუნისტი“-ს დახურვის გარშემო

საბჭოთა მთავრობასთას ზავის ჩამოგდების შემდეგ ადგილობრივ კომუნისტებს ნება მიეცა გაზ. „კომუნისტი“-ს გამოცემისა. მოსალოდნელი იყო, რომ კომუნისტები შეუერთდებოდენ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას და ხელს შეუწყობდენ რუსეთსა და ქართველ ხალხთა შორის კეთილ მეზობლური განწყობილების განმტკიცებას. კომუნისტები წინააღმდეგ გზას დაადგენ. თავის ორგანიზაციაში თავს უყრიდენ უცხოელ მოქალაქეებს, აგრეთვე შეუდგენ ჯარში მუშაობას და ცდილობდენ ჩვენი ფრონტის დასუსტებას აზერბეიჯანისა და აჭარელ მეამბოხეთა წინააღმდეგ, რომელთაც „სედაი მილეთის“ ჯგუფი მეთაურობს დ პანთურქისტებისაგან შესდგება. მთავრობამ ხელთ იგდო მეტათ საყურადღებო დოკუმენტი, რომლისგანაც აშკარაა, რომ ღალატი, რომელიც ჩაიდინა სათადარიგო ჯარის კაცთა ჯგუფმა, მიატოვა რა ფრონტი აჭარელ მეამბოხეთა წინააღმდეგ და მით საფრთხეში ჩააგდო ხულოში ჩვენი მომქმედი ჯარის ნაწილი, კომუნისტების ზედგავლენით მომხდარა. 5 ივნისს სადგურ ნატანებში დაპატიმრებულ იქნა ტფილისიდან ბათომში მიმავალი სოფიო პ რ ე ს მ ა ნ ი რომელსაც თან აღმოაჩნდა ორი მოწოდებ ხელმოწერილი რუსეთის კომუნისტური პარტიის ბათუმის კომიტეტის მიერ. ერთი მიმართულია საქართველოს მთავრობის და მეორე ინგლისელთა წინააღმდეგ. ამ მოწოდებაში ისინი ურჩევენ ქართველ მუშებსა და გლეხებს ხელი გაუწოდონ რუსეთის საბჭოთა მთავრობას საქართველოს მთავრობის დასამხობათ. პრესმანმა განაცხადა, რომ ფურცლები მან მიიღო ტფილისში გაზეთ „კომუნისტი“-ს სტამბაში, ხოლო ვისგან მიიღო ან ვისთან მიჰქონდა, ამის გამჟღავნება არ მოისურვა, მაგრამ თანვე დასძინა, რომ ყველაფრის გაგება შეიძლება საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

აშკარაა, ფურცლები მიჰქონდა ბათომში ადგილობრივ კომუნისტთა დავალებით. გაზეთი „კომუნისტი“ კიდევ უფრო შორს წავიდა. მან მოინდომა ოსეთში მოთარეშე ბრბოების გამოსვლა გამოეყენებინა რესპუბლიკის დასამხობათ, მან მოითხოვა ოსეთის ბრბოების თვითგამორკვევა, ხოლო გავლენიანი კომუნისტები ამასვე ითხოვდენ აჭარისა და აფხაზეთისათვის. მათი გეგმის განხორციელება მოასწავებდა საქართველოსაგან განაპირა კუთხეების ჩამოშორებას, რაიც რესპუბლიკისათვის საბედისწერო შეიქნებოდა. მთავრობამ დახურა გაზეთი „კომუნისტი“ და რესპუბლიკის აშკარა მოწინააღმდეგეთა ასალაგმავად მიიღო შესაფერი ზომები.

# პატარა შენიშვნები

### „ყველას გასაგონათ“

ამ სათაურით ბოლშევიკურ გაზეთ „კომუნისტი“-ს ერთ უკანასკნელ ნომერში მოთავსებული იყო წერილი, რომელშიაც ავტორი ამართლებს ცხინვალში ოსების ყაჩაღურ გამოსვლებს, უწოდებს მას გლეხთა მოძრაობას „თვითგამორკვევის ნიადაგზე“ და ურჩევს მთავრობას ხელი არ ახლოს თავგასულ ოსების ბრბოებს. ჩვენ ეჭვი არასოდეს არ შეგვპარვია იმაში, რომ მიუხედავად ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებისა ჩვენი კომუნისტები ჩვენს მძულვარებაზე, საწინააღმდეგო ამხედრებაზე მაინც არ აიღებდენ ხელს. ზოგი გულუბრყვილო მკითხველთ, რომელთაც ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი ბოლშევიკების მოღვაწეობა, მათი „ტაქტიკური მოსაზრებანი“ პირიქით ეგონათ, რომ ჩვენებურ ბოლშევიკები ლეგალური მუშაობის შემდეგ რამოდენიმეთ მაინც შეცვლიდენ თავის დამოკიდებულებას საქართველოსთან, მაგრამ საამისო ეჭვები ძალიან მალე გაფანტეს ბოლშევიკებმა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ ჯერ ჩვენთან დამოკიდებულობა არ შეუცვლიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ დიდი ხანია, რაც არ მოუწყვიათ შეიარაღებული თავდასხმა საქართველოს მთავრობის წინააღდეგ, მაგრამ ამასაც ვერ მივაწერთ სავსებით ბოლშევიკურ რუსეთთან დადებულ ზავს, ეს ისევ და ისევ უნდა მივაწეროთ საქართველოს დემოკრატიის სულის სიმტკიცეს, მის სიძლიერეს და ზედი ზედ გამარჯვებებს, რომელიც მოიპოვა საქართველოს დემოკრატიამ, როგორც აქ ბოლშევიკების მიერ მძინარ ხალხზე თავდასხმის დროს, ისე „წითელ ადერბეიჯანის“ ფრონტზე. რამაც ჩვენში მოქმედი ბოლშევიკები სანახევროდ მაინც დარწმუნდა, რომ საქართველოს დემოკრატია ჰგმობს სოციალისტურ ექსპერიმენტებს, რომელმაც გააპარტახა დიდი რუსეთი... ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ბოლშევიკებმა ოდნავადაც რომ მოიპოვონ ჩვენში ნიადაგი, ერთ საათსაც რომ იხილონ საქართველოს დემოკრატია დაუძლურებული, ისინი უყოყმანოდ ფეხქვეშ გასთელენ საზავო ქაღალდს, შებღალავენ ჩვენს სახელმწიფოებრივ და სუვერენულ უფლებებს და თუ ცოტათი მაინც ექნათ იმედი გამარჯვებისა, იარაღს წამოავლებენ ხელს ძალა-უფლების მოსაპოვებლად; ამას ნათლად ამოწმებს მათი მოკლე ხნიანი ლეგალური მოქმედებაც კი; მაგალითისათვის ავიღოთ, თუ გინდ იგივე ოსეთის საკითხი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს მწვავედ წამოიჭრა ჩვენს წინაშე; რა მოხდა იქ, მართლა „თვითგამორკვევის“ პრინციპზეა ეს გამოსვლები დამყარებული?

სრულიადაც არა; იქ მხოლოდ ნახევრად დამშეულმა ოსების ბრბოებმა მოინდომეს ქართველ მოქალაქეთა სარჩო-საბადებელის მოტაცება, რომ დროებით მაინც დაეყუჩებიათ მშიერი კუჭი. ჩვენ დამამტკიცებელი საბუთები გვაქვს, რომ აჯანყებაში ბოლშევიკებსაც მიუძღვის ღვაწლი. ასეთ გამოსვლებს რა უნდა უწოდოთ ჩვენ, თუ არა ყაჩაღური თავდასხმა მშვიდობიან მცხოვრებლებზე და ნუ თუ მთავრობას არ უნდა მიეღო ზომები მათი ყაჩაღური ინსტიქტების შესაკვეცად; ეს ბრბოები ავაზაკურად თავს დაეცა ცხინვალში მყოფ მცირე რიცხოვან ჩვენს ჯარს. დიახ, მთავრობა ვალდებულია, როცა სხვა ზომამ ვერ გასჭრა, ცეცხლითა და მახვილით ჩააქროს ეს აჯანყება, ამას ავალებს მას საქართველოს დემოკრატიის სასიცოცხლო ინტერესები, რომლის დასაცველად მოწოდებულია საქართველოს მთავრობა.

ბოლშევიკებს ამ გარემოებამ ერთხელ კიდევ უნდა ასწავლოს ჭკუა, და უნდა დარწმუნდნენ, რომ საზავო ხელშეკრულება რა შინაარსისაც უნდა იყოს ის, თუ დაარღვია მეორე მხარემ, თუ შეეცადა საქართველოს საზღვრების გადმოლახვას, თუ მოაწყო საქართველოს წინააღმდეგ აჯანყება, სულ ერთია რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ის, საქართველოს მთავრობა მაინც ვერ დასთმობს მას და მუდამ შეებრძოლება საქართველოს წინააღმდეგ ყოველგვარ ძალადობას. საქართველოს დემოკრატია რუსეთთან ზავის დადებამდესაც ამ პოლიტიკას ადგა, როგორც კერძოდ რუსეთთან დამოკიდებულებაში, ისე ყველა მეზობელ ერებთან,—ყოველთვის თავისას იცავდა. ამ ზავის შემდეგ მხოლოდ ჩვენ კომუნისტებს უნდა შეეცვალათ ჩვენში თავის სამოქმედო გეგმა, მაგრამ სამწუხაროდ ამ მხრივ ჯერ ცოტა სანუგეშებელ ფაქტებს ვხედავთ: ჩვენმა კომუნისტებმა მიუხედავათ ლეგალიზაციისა, არა ლეგალურ, ქვემძრომ მოქმედებაზე მაინც არ აიღეს ხელი, რასაც ნათლად მოწმობს მათ მიერ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ გასავრცელებლად გამზადებული პროკლამაციები და თუ გინდ ოსების უკანასკნელი აჯანყება, რომელშიაც, როგორც ზევითაც მოვიხსენეთ ეჭვ გარეშეა ჩვენ კომუნისტებსაც დიდი შრომა მიუძღვით, რასაც ადასტურებს „კომუნისტში“ ზემო აღნიშნული სათაურით მოთავსებული წერილი, რომელშიაც ავტორი რიხიანად გაუწითლებლად გაიძახის: „ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადაო, ის ისწრაფის ეროვნული თვითგამორკვევისკენო“; ასე ესმისთ აქ ჩვენ კომუნისტებს მათ ხელში მრავალტანჯული „თვითგამორკვევის პრინციპი“ იქ კი, შუა რუსეთში მათი უფროსი ამხანაგები ზარბაზნებით უმასპინძლდებიან პოლონეთის თავისუფლების მოყვარე ხალხს, როცა ის იცავს თავიანთ ეროვნულ, სუვერენულ უფლებებს. აქ ჩვენი კომუნისტები ყაჩაღურ გამოსვლებს „თვითგამორკვევად“ ღიარებენ, იქ კი ერის მართლაც გულწრფელ მისწრაფებას, მის კეთილ სურვილს და უფლებებს კლავენ, ფეხქვეშ სთელავენ, ეს იმ დროს, როცა უკვე გამორკვეულ ერს საქართველოს დემოკრატიას, რომელმაც სახელმწიფო ააშენა კი ეომებიან. რას ნიშნავს ეს? როგორ ყოფნით ჩვენებურ კომუნისტებს გამბედაობა კრინტი დაძრან ერთა თვით-გამორკვევის პრინციპების შესახებ, რომელსაც ისინი, ასე სასტიკად ებრძვიან.

დეე, განაგრძონ ბოლშევიკებმა თავის გზა ჩვენ კი ერთხელ კიდევ ვიტყვით „ყველას გასაგონად“, რომ საქართველოს დემოკრატია უბრძოლველად არ დასთმობს სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას; ის შეებრძოლება ყველას, იქნება ის ოსების ყაჩაღთა ბრბოები თუ გინდ იგივე კომუნისტები, რომლებიც მიზნად დაისახავენ საქართველოს დემოკრატიის განიავებას. ეს კარგად შეისწავლონ „კომუნისტებმა“.

# ბათომის ევაკუაცია

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან: ორშაბათს 8 ივნისს ინგლისის სარდლობამ ბათომში კონსტანტინეპოლიდან მახლობელ აღმოსავლეთში მყოფ ინგლისის მთავარ სარდლობისაგან რადიო დეპეშა მიიღო დაუყონებლივ შეუდგენ ბათომის ევაკუაციას. ბათომის სარდლობას წინადადება ეძლევა დაუყონებლივ დაიწყოს არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო პირთა ევაკუაცია, აგრეთვე ხაზგასმულია, რომ მოხდეს ბათომში მყოფ ინგლისურ სავაჭრო ფირმათა წასასვლელად მომზადება. ამის გამო ინგლისის სარდლობამ რუსეთის გემები აღრიცხა. ინგლისის ძალა ბათომში ითვლება: ფერადი ჯარი დივიზიამდე და 2000 ინგლისელი. ფერადი ჯარი ეწეოდა სადამოენო მუშაობას, რომელიც დაიწყეს ინგლისელებმა ბათომის მიდამოებში.

რადიოს მიღებისთანავე დაუყონებლივ დაიწყეს სამხედრო ქონებისა და ინგლისის ზოგი ფირმის საქონლით გემების დატვირთვა. დატვირთვა ხდებოდა დღითა და ღამით. 11 ივნისს გამოირკვა, რომ ინგლისის პირველი

გემები გავა კვირას ნაშუადღევის 2 საათზე. იმავე დროს ინგლისის სარდლობამ განაცხადა, რომ ბათომის რეიდზე დარჩება ორი ინგლისური დრედნოუტიო. ბათომის მომავალ მდგომარეობაზე ინგლისის სარდლობას არავითარი განცხადება არ გაუკეთებია.

საქართველოს საზღვრამდე რკინის გზის დაცვა უმთავრესად ფრანგების ხელშია.

## საქართველო-აზერბაიჯანის საზავო მოლაპარაკება.

ტფილისის საინფორმაციო ბიუროს თანამშრომელს შემდეგ დაახლოვებით ცნობებს აუწყებენ საქართველოსა და აზერბაიჯანის შორის ხელშეკრულობის დადების შესახებ. წინასწარ შეთანხმების თანახმად ორივე დელეგაციის შეხვედრა უნდა მომხდარიყო აქსტაფაში 31 მაისს. 30 მაისს გავიდენ ტფილისიდან და საღამოს 6 საათზე იყვნენ ფოილოს ხიდთან საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე და დელეგაციის წევრები: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. გ. მდივანი და გენერალი ანდრონიკაშვილი. მდივნები დ. მდივანი და შ. ვადაჭკორია. რადგან ადერბაიჯანის დელეგაცია დანიშნულ დროზე ვერ მოვიდა აქსტაფაში, უთუოდ განჯის ამბების გამო, საქართველოს დელეგაციამ ადერბამჯანის დელეგაციის თავმჯდომარის სულთანოვისაგან ცნობა მიიღო, რომ აქსტაფაში მოსვლა მას შეუძლია მხოლოდ 3 ივნისს და ამიტომ სთხოვა დროებით ზავი გაგრძელდეს 5 დღით კიდევ რაც უკვე მოხდა. 31 მაისს საქართველოს დელეგაცია ტფილისდაბრუნდა და 2 ივნისს ისევ უკან წავიდა. ფოილოს ხიდის მიახლოვებისას დელეგაცია გადავიდა მდ. მტკვარზე გაკეთებულ ბონდზე. მეორე მხარეზე დელეგაციას უცდიდა ადერბაიჯანის მატარებელი, რომლითაც დელეგაცია აქსტაფაში დილის 9 სათზე მივიდა. აქ დელეგაციას იხვდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლები ადერბაიჯანში გ. ქ. ალშიბაიას მეთაურობით და ადერბაიჯანის საზავო დელეგაცია თავმჯდომარით. დილის 11 საათზე გაიხსნა საზავო დელეგაციის პირველი სხდომა, მოხდა მანდატების გაცვლა-გამოცვლა და აღიარეს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სუვერენობა და დამოუკიდებლობა. შემდეგ მიიღეს შემდეგი წესრიგი 1 პოლიტიკური საკითხები, 2 ტერიტორიალური, 3 სამხედრო და 4 ეკონომიური, პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა გრ. ლორთქიფანიძე. დანარჩენებზე თავმჯდომარეობდენ რიგ-რიგობით. ზემო აღნიშნული საკითხები განიხილეს 3, 4 და 5 ივნისს. შემდეგ უთანხმოების გამო მოლაპარაკება დროებით შესწყდა. 6 ივნისს ადერბეიჯანის დელეგაციამ განაცხადა, რომ უნდა მოველაპარაკოთ ჩვენ მთავრობასო და მოითხოვა დროებითი ზავის გაგრძელება კიდევ ერთი კვირით, მაგრამ საქართველოს დელეგაციის წინააღმდეგობის გამო მხოლოდ 4 დღით გაგრძელდა ე. ი. 9 ივნისს საღამოს 5 საათამდე. 8 ივნისს დილის 11 საათზე საქართველოს დელეგაცია ისევ გაემგზავრა აქსტაფაში და 9 ივნისს დილის 8 საათზე მას შეხვდა ადერბეიჯანის დელეგაცია, რომლის მეთაურად იყო უკვე მეორე თავმჯდომარე, ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მირზა-დაუტჰუსეინოვი. საზავო დელეგაციამ აღძრა მატერიალურ და ეკონომიურ საკითხებზე თათბირი. დიდი კამათი გამოიწვია ტერიტორიალურ და საზღვრების საკითხებმა. ადერბეიჯანის და საქართველოს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 12 ივნისს, საღამოს 10 საათზე.

კვირას 13 ივნისს დილის 8 საათზე ტფილისში დაბრუნდნენ საქართველოს დელეგაციის წევრები, რომელშიაც შედიან: დელეგაციის თავმჯდომარე სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, დელეგაციის წევრები: ს. გ. მდივანი, გენერალი ანდრონიკაშვილი და მდივნები: დ. მდივანი და შ. ვადაჭკორია. რადგან საზავო მოლაპარაკების დრო გადიდო 11 ივნისს საღამოს 5 საათზე და მიზანს კი მიღწეული არ იყვნენ ტერიტორიალურ და საზღვრის საკითხებში დროებითი ზავის ვადა ადერბეიჯანის დელეგაციის თხოვნით გადადებულ იქნა კიდევ 12 ივნისს საღამოს 5 საათამდე. 11 ივნისს 5 საათზე საქართველოს დელეგაციამ აქსტაფა დასტოვა, გადმოვიდა ფოილოს ხიდზე და ღამე გაათენა ვაგონებში საქართველოს ტერიტორიაზე. მუშაობა გადაიტანეს საქართველოს ტერიტორიაზე—ფოილოს ხიდთან. 12 ივნისს დიდი ხნის კამათის შემდეგ ყველა საკითხებში შეთანხმებას მიაღწიეს. 12 ივნისს საღამოს 10 საათზე დელეგაციები დაცილდენ ერთმანეთს. ადერბეიჯანის დელეგაციასთან ერთად ბაქოში გაემგზავრა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი გ. ალშიბაია.

## საქართველოს საზოგ. ერთა ლიგის საჯარო სხდომა.

შაბათს ივნისის 12-ს საღამოს 8 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა საჯარო კრება საქართველოს საზოგადოების ერთა ლიგისა. ამ დღისათვის მოწვეული იყვნენ ცენტრ. მუშათა კავშირის წარმომადგენლები, ცენტრ. კოოპერატივის წარმომადგენელნი, კულტურ-განმანათლებელ საზოგადოების წარმომადგენელნი, ქალთა საზოგადოების წარმომადგენელნი და სხვა და სხვა.

სხდომა გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ბ-მა ალ. ლომთათიძემ. კრების გახსნისას ბ. ვ. ლამბაშიძემ გააცნო დამსწრე საზოგადოებას საქართველოს საზოგადოების ერთა ლიგის ორგანოს დაარსების ისტორია და მისი მუშაობა. აღნიშნავს რომ ლონდონში არსებობს ნაციათა ლიგის კავშირი, ნაციათა ლიგის იდეის საპროპაგანდოთ. ამ ლიგის კომიტეტთან ლონდონში მყოფ ქართველებს დაუარსებიათ ქართული განყოფილება. საქართველოს წარმომადგენელმა ბ-ნმა გვარჯალაძემ, გვაცნობა ქართველების მიერ გადადგმული ნაბიჯი ლონდონში, ქართველი განყოფილების დაარსებით.

პირველი კრება დეკემბრის 7 მოვიწვიეთ. ამ კრებამ ჩაუყარა საძირკველი საქართველოს საზოგადოების ერთა ლიგას. ჩვენ მუშაობას ორგანიზაციული ხასიათი აქვს.

საქართველოს საზოგადოების ერთა ლიგის პრეზიდიუმმა რამდენჯერმე მოიწვია სხდომა სადაც ირჩეოდა სხვა და სხვა ხასიათის საკითხები ერთა ლიგის იდეიის გასავრცელებლად.

უკანასკნელ კრებაზე პრეზიდიუმმა მიიღო ბ-ნ ჯაყელის წერილი, რომელიც იტყობინებოდა, რომ რომში მოწვეულია მეოთხე ერთა ლიგის კონფერენცია, სადაც საჭირო იყო გაგვეგზავნა ჩვენი წარმომადგენელიც.

თქვენ მოგეხსენებათ გაზეთებიდან, რომ საზოგადოების პრეზიდიუმმა გაუგზავნა მისალმების დეპეშა რომში ერთა ლიგის კომფერენციის თავმჯდომარეს და აგრეთვე ჯაყელს, რომელსაც ავალებდა საქართველოს საზოგადოების ერთა ლიგის წარმომადგენლობას. დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ქართველების დამახასიათებელი თვისება მშვიდობიანობის და კულტურულ მუშაობაში გამოიხატება. ჩვენ ყოველთვის ვერიდებოდით ძალადობას და საქართველოს ხალხი მუდამ მოწადინე იყო და არის, როგორც მეზობლებთან აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან სოლიდარული კულტურული ურთიერთობა დაამყაროს. შემდეგში როდესაც ევროპასთან აღვადგენთ ნორმალურ მისვლა-მოსვლას ჩვენი მუშაობა ამ დარგში გაორკეცდება. ბ-ნ ვახ. ლამბაშიძის მოხსენების შემდეგ თავმჯდომარემ კრება დახურა. დღიურ წესრიგის სხვა მოხსენებანი გადაიდო შემდეგ სხდომისათვის.

## დამფუძნებელ კრებაში

### მისალმება.

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარემ ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „სოფ. უდის და ახლო მდებარე რაიონის მცხოვრებლებმა—ქართველმა მუსულმანებმა და მართლმადიდებლებმა 12 ივნისის საჯარო ყრილობაზე, მოისმინეს რა დამფ. კრების წევრის თ. კიკვაძის მოხსენება ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, ერთხმად დაადგინეს: ყრილობა მიესალმება დამფ. კრებას და მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას და სიხარულით ეგებება საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდებას. ყრილობა საჭიროდ სთვლის მიიღოს უსასტიკესი ზომები მოღალატე ჯარის კაცების და აჯანყების ხელმძღვახელების წინააღმდეგ და გადამჭრელი ნაბიჯები ბათომის და ზაქათალის ოლქების შემოსაერთებლად. ყრილობა ფიცსა სდებს შესწიროს ყოველგვარი მსხვერპლი რევოლიუციის მონაპოვარისა, საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების დასაცავად.

დამფ. კრების პრეზიდიუმის მიერ ს. აზმეტიდან შემდეგი დეპეშა არის მიღებული: „ჩვენ, ქისტები, ფშაველები და ოსები ფანქისის ხეობისა, მოვისმინეთ რა დამფ. კრების წევრის ცისკარიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე ერთხმად, სარწმუნოების და ეროვნების განურჩევლად დავადგინეთ მივესალმოთ რესპუბლიკის მთავრობას და უსურვოთ მას მუხანათურ მტრებზე გამარჯვება. ჩვენ გვრწამს, რომ გარეშე მტრების დაძლევის შემდეგ მთავრობა გამონახავს საჭირო საშუალებებს და შეუდგება შინაურ შემოქმედებით და აღმშენებლობით მუშაობას.

### უდიდესი ფასები ბინებზე

მთავრობამ იუსტიციის მინისტრს წინადადება მისცა საჩქაროდ დაამუშაოს კანონპროექტი ბინებზე უდიდესი ფასების დაწესების შესახებ. კანონ-პროექტი მას შემდეგ რაც მოწონებული იქნება მთავრობის მიერდამფ. კრების თვითმართველობის კომისიას გადაეცემა.

### ერობათა სასარგებლოთ თანხის გადადება.

დამფ. კრების აგრარულ კომისიის მიერ შემუშავებულ იქმნა და განსახილველად დამფუძ. კრებას გადაეცა, პროექტი დეკრეტისა, რომელიც ეხება მიწად-მოქ. გადასახადების ამკრებ განყოფილების შემოსავლიდან ერობათა სასარგებლოთ 20 პროც. გადადებას. თანახმათ პროექტისა საბიუჯეტო უფლების განხილვამდე, მიწადმოქმედების გადასახადის ამკრებ განყოფილების შემოსავლიდან, რომელსაც სახელმწიფო ხაზინაში შეიტანებენ, ერობის სასარგებლოთ უნდა გადაიდვას 20%. სხვათა შორის პროექტში აღნიშნულია, რომ თუ გადასახადი შემოტანილი იქნება ნატურის სახით, მაშინ ერობას დახმარებაც ნატურის სახით მიეცემა.

## ტფ. ქალაქის საბჭოში

14 ივნისის სხდომაზე ქალაქის საბჭომ მიიღო შემდეგი ქალაქის გამგეობის მოხსენებანი: შრომის ბირჟის წესდების პროექტის შესახებ, სარევიზიო კომისიის რეორგანიზაცია. სარეორგანიზაციო კომისიაში შევიდენ შემდეგი პირნი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციიდან: ი. რამიშვილი, კოვალიოვი, მიკირტუმოვი, გოგუა, საღირაშვილი, ხუხუნაშვილი—სოციალ-ფედერალისტებიდან: ლორთქიფანიძე, კვეზერელი და საყვარელიძე—ნაციონალ-დემოკრატებიდან—წვერავა, კალანდაძე და დ. ვაჩნაძე, გამგეობის მოხსენება საავადმყოფოს რევიზიის შესახებ, ერთდროულ სანიტარულ-ეპიდემიურ გადასახადის შემოსავალ-გასავალის შესახებ (გადაეცა საბიუჯეტო-საფინანსიო კომისიას), ლომბარდის სარევიზიო კომისიის მოხსენება, „სავალდებულო დადგენილების“ დამატების შეტანის შესახებ, რუსეთის უნივერსიტეტში დაარსებულ სტიპენდიების ქ. ტფილისის უმაღლეს სასწავლებლებში გადმოტანის, საზოგადოება „განათლების“ 10.000 მანეთით ერთდროულ დახმარების, ჩუღურეთის ნოე ჟორდანიას სახელობის ბიბლიოთეკა—სამკითხველოსათვის 5.000 მანეთის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის და ქალაქის ექიმ იოსებ ზაბლუდოვსკის ქვრივისთვის 18.660 მანეთ ერთ დროულ დახმარების შესახებ.

## უცხოეთი

**კონსტანტინეპოლი**, 28 მაისი. კავკასიიდან კონსტანტინეპოლში მოვიდა დიდძალი ლტოლვილი ბერძნები სულ 2700 კაცი. ლტოლვილები კავალისკენ გაიგზავნა, სადაც ბერძნების მთავრობის ხარჯზე მოეწყობიან.

**ლონდონი**. თემთა პალატაში ჩერჩილმა შემდეგი განცხადება გააკეთა: „ბრიტანეთის ძალები მოკავშირეთა პოლიტიკის თანახმად ბათომში დარჩებიან. ჩვენ მიზნათ არა გვაქვს ეს ძალები შეტევისთვის გამოვიყენოთ.

**ერთა ლიგა და საბჭოთა მთავრობა**, ხალხთა ლიგის საბჭომ განიხილა პასუხი საბჭოთა მთავრობისა მის რადიო-დეპეშაზე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საბჭოს სურს დელეგაცია გაგზავნოს რუსეთში საბჭოთა რუსეთის ცხოვრების გასაცნობათ. საბჭოთა მთავრობამ თავის პასუხში განაცხადა, რომ დელეგაციის ზოგიერთ წევრს რუსეთში ვერ შეუშვებს. ხალხთა ლიგის საბჭომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საბჭოთა მთავრობამ ძლიერ დააგვიანა პასუხი. ამას გარდა ისეთი პირობები წამოაყენა, რომლებიც რუსეთში დელეგაციის გაგზავნის უარს უდრის. ეს პირობები იქითკენ მიისწრაფის, რომ განასხვავოს ლიგის თვითეული წარმომადგენელი. მიილო რა მხედველობაში ეს გარემოება ერთა ლიგის საბჭომ საბჭოთა მთავრობას რადიოთი აუწყა, ერთა ლიგა წარმოადგენს საერთაშორისო ერთეულს, რომელსაც მიზნათ აქვს მშვიდობა და სამართლიანობა. მისი დელეგატები არ წარმოადგენენ ამა თუ იმ სახელმწიფოს, არამედ პირველად ყოვლისა ერთა ლიგას. ლიგა გამოსთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა მთავრობა შესცვლის თავის პასუხს, თუ მას შესაძლებლად არ მიაჩნია ლიგის შეკითხვა 15 ივნისამდე მიიღოს, მაშინ ლიგა მთელ პასუხისმგებლობს იმაში, რომ იგი სისწორით ვერ გამოერკვია რუსეთის მართვა-გამგეობის საქმეში რუსეთსავე დააკისრებს. ერთად ერთი მიზანი ამ გამორკვევისა არის ქვეყნებს შორის პოლიტიკური სწორ წონაობისა და საერთაშორისო დამოკიდებულების აღდგენა.

### გენ. დენიკინი.

საბჭოთა გაზეთების ცნობით გენ. დენიკინს განუცხადებია ინგლისის პრესის წარმომადგენელთათვის, რომ მას აღარა აქვს აზრად არავითარი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეობა. ის ეხლა ფიქრობს იმაზე, რომ დასწეროს მემუარები რუსეთის რევოლიუციაზე. ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის წიგნთ-გამომცემლებმა წინადადებით მიმართეს, რომ გენ. დენიკინმა ეს მემუარები მათ დაუთმონ გამოსაცემათ.

### ინგლისის მუშათა დელეგაცია.

ინგლისის მუშათა დელეგაცია მოსკოვიდან გამოვიდა და ვოლგის მიმართულებით, ყაზან, სამარა და სარატოვის გზით წავლენ ინგლისში.

### მდგომარეობა ზანგიბასარში.

ზანგიბასრის თათრები ისევ აწარმოებენ შეიარაღებულ შეტაკებას სომხების წინააღმდეგ.

## ერობა

### კანონ-პროექტი წვრილ საერობო ერთეულის შესახებ

ერობათა კავშირმა გამოიმუშავა კანონ-პროექტი წვრილ საერობო ერთეულის, თემის შესახებ, კანონ-პროექტთან დართულ განმარტებით წერილში აღნიშნულია მცხოვრებთა დიდი მოთხოვნილება თვითმართველობის „იაჩეიკების“ მოწყობაში, რადგანაც საქართველომ დღემდის არ იცოდა უბრალო ერობაც კი და მით უმეტეს წვრილი საერობო ერთეული, ეხლა საჭიროა მოხდეს კონფისკაცია ფორმებისა, რომელშიც უნდა ჩამოყალიბდეს თემი, ე. ი. საჭიროა შეიქმნეს საერთო და მთლიანი დებულება, რადგანაც თემი საჯარო უფლების დაწესებულებაა, საჭიროა განვსაზღვროთ დაწესებულების კომპეტენცია, კომპენტენციის ტერიტორიალური საზღვრები და ის პირნი, რომელნიც ამა თუ იმ მმართველობას ემორჩილება.

თემი არ უნდა იყოს არც ძალიან დიდი და არც მეტად პატარა.

თემის მმართველობა შესდგება საბჭოსა და თემის თავისაგან. საბჭო, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო ანხორციელებს კანონ-მდებლობით უფლებას, თემის თავი კი აღმასრულებელს. კანონ პროექტი 75 მუხლისგან შესდგება.

## სატარიფო პალატაში.

12 ივნისს გოლდმანის თავმჯდომარეობით შესდგა სატარიფო პალატის მორიგი სხდომა. პალატამ განიხილა პალატის მუშათა ფრაქციის მიერ აღძრული საკითხი მუშათა და მოსამსახურეთა ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ. ამ საკითხის შესახებ მუშათა ფრაქციის თავმჯდომარე აბდუშელი თავის მოხსენებაში იუწყება, რომ მრავალი კავშირიდან მოდის განცხადებები მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის რაიმე საშუალების გამონახვის შესახებ. თავის მხრით მუშათა ფრაქცია აუცილებლად სთვლის გადაუდებელ ზომების მიღებას, რათა პროლეტარიატის მდგომარეობა გაუმჯობესდეს, რადგან მომარაგების ფონდი ვერ შესძლებს გაძლიერებას ახალ მოსავლამდე. ამიტომ მუშათა ფრაქცია წინადადებას იძლევა გამოიტანონ ერთდროული დახმარების დადგენილება, მაგრამ არა უმეტეს 3 ათასი მანეთის დახმარებისა.

სატარიფო პალატის თავმჯდომარემ ი. გოლდმანმა მოხსენების შემდეგ განაცხადა, რომ მთავრობას ეს საკითხი გადაუდებლად მიაჩნია და იგი დაკმაყოფილებული უნდა იქნეს. ერთდროული დახმარების წინააღმდეგ არავინ წასულა და ფაბრიკა მექარხნეების წარმადგენელმა განაცხადა, რომ პალატის მწარმოებელთა ფრაქციას ეს საკით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი ჯერ არ განუხილავსო. საკითხის განხილვის შემდეგ ერთხმად მიიღეს დადგენილება დახმარების მიცემის აუცილებლობის შესახებ, ისე რომ ამ მიცემულ თანხიდან არავითარი გამოკლება არ იქნეს.

შედის წინადადება რომ ახალ მიმატებამდე შეჩერებულ იქნეს ჯამაგირიდან ყოველივე გამოკლება. მწარმოებელთა ფრაქციის წარმომადგენელი ამ წინადადების წინააღმდეგია იმ მოსაზრებით, რომ ავანსის მიცემა ხდება ორივე მხარის თავისუფალი შეთანხმებით, სატარიფო პალატა აქ არ ერევა. ამიტომ პრეზიდიუმს დაევალა მუშათა ვალების რაოდენობის გამორკვევა. შემდეგ მუშების ჯამაგირების საკითხი. საკითხის განხილვის დროს აღნიშნა, რომ დროებითი მუშები არ სარგებლობენ იმ პრივილეგიებით, რომლითაც სარგებლობენ მუდმივი მუშები. ისინი არ სარგებლობენ მაგ. მომარაგების ფონდიდან. გადაწყდა, რომ დროებითი მუშებს ჯამაგირი გაუდიდდეს შედარებით მუდმივებთან 35%. დაბოლოს განხილულ იქნა კინოთეატრების პიანისტებზე სატარიფო სტავკის დაწესების საკითხი. პალატა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პიანისტებზე ქირის დაწესება, როგორც თავისუფალი პროფესიის პირებზე პალატის კომპეტენციაში არ შედის.

# მუშათა ცხოვრება

### სატარიფო პალატა.

საქართ. პროფ. კავშირების სხდომაზე მოსმენილ იქნა სატარიფო პალატის თავმჯდომარის მოხსენება პალატის მოქმედების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ პალატის მოქმედება მეტად ნაყოფიერად სცნო. ამასთანავე შემდეგი თეზისები იქნა შემუშავებული: სატარიფო პალატა შრომის ხელფასის ტარიფს აწესებს დაქირავებულ შრომის ყველა კატეგორიის პირებზე, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც ადმინისტრატიული თანამდებობა უჭირავთ. დაწესებული ტარიფი სავალდებულოა, როგორც მუშებისათვის, ისე მეპატრონეთათვის. ყოველ-გვარი შეთანხმება, რომელიც გარეშე სატარიფო პალატისა მოხდება და მისი დასტური არ ექნება არ არის ნამდვილი. იმ შემთხვევაში თუ მეპატრონე არ დაემორჩილა გადაწყვეტილებას, სატარიფო პალატის გადაწყვეტილებანი იძულებითი გზით გატარდება ცხოვრებაში. პალატის ორგანიზაცია და მოქმედება ისაზღვრება წესდებით, რომელსაც შრომის სამინისტრო ამტკიცებს.

### კონტროლი მოგებაზე.

პროფ. კავშირის საბჭოს სხდომამ საკითხი აღძრა მწარმოებელთა მოგებაზე კონტროლის დაწესების შესახებ, იმ მიზნით, რომ ებრძოლონ პირველ საჭიროების საქონელზე ფასის მომატებას. დადგენილ იქნა საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტს მიენდოს საჭირო მასალის შეკრება და მისი სპეციალური გამოკვლევა.

პროფ. კავშირები აღნიშნავენ საჭიროებას, რათა სატარიფო პალატის მოქმედება პროვინციებზედაც გავრცელდეს იმ აზრით, რომ მოეწყოს პალატის განსაკუთრებული სესია, რომელიც ადგილობრივ ჩამოივლის პროვინციებს. ამის საჭიროებას ასაბუთებენ მით' რომ ერთგვარი პირობები არ არის აქ, ტფილისში და პროვინციებში.

# ახალი ამბები

